დამტკიცებულია კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის კანცლერის 2015 წლის 15 მაისის #01-46
ბრძანებით

მობილობის, შიდა მობილობისა და კრედიტების აღიარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი ადგენს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვისა და შიდა მობილობით პროგრამის ცვლილების პროცედურებს, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების თავსებადობის განსაზღვრისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების პრინციპებს.

მუხლი 2. შიდა მობილობის პროცედურა

1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში შიდა მობილობით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა შესაძლებელია აქტიური სტატუსით ერთი სემესტრის დასრულების შემდეგ.

2. სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის შიდა მობილობით პროგრამის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ სტატუსის გააქტიურების შემდეგ.

3. შიდა მობილობისათვის განცხადების მიღებისა და პროცესის დასრულების ვადებს ბრძანებით განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი.

3[1]. შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

ბ) ამოღებულია **(01-98, 19.07.2023)**

3[2]. თუ სტუდენტი ვერ აკმაყოფილებს ჩაბარებული საგნების წინაპირობას, უფლება აქვს დარეგისტრირდეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და ჩააბაროს მხოლოდ შიდა მობილობისთვის საჭირო ერთი საგანი. **(02-135, 26.10.2021)**

4. შიდა მობილობით პროგრამის ცვლილებისათვის არ არის დადგენილი რაიმე დამატებითი წინაპირობები. პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, რექტორის ბრძანებაში შიდა მობილობის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, შესაძლოა დაწესდეს კონკრეტული წინაპირობა.

5. შიდა მობილობაზე სტუდენტთა განცხადებებს განიხილავენ სასურველი პროგრამის ხელმძღვანელები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად. განხილვის შემდეგ თითოეულ სტუდენტზე მზადდება კრედიტების აღიარების დასკვნა, რაზეც ხელს აწერს პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ფაკულტეტის დეკანი. **(01-81, 27.07.2018) (01-24, 11.03.2022)**

6. კრედიტების აღიარების დასკვნების საფუძველზე მზადდება რექტორის ბრძანება შიდა მობილობით პროგრამის ცვლილების შესახებ.

7. სტუდენტისათვის სწავლების სემესტრის განსაზღვრა ხდება აღიარებული კრედიტებისა და გასავლელი საგნების წინაპირობების გათვალისწინებით.

8. შიდა მობილობით პროგრამის ცვლილების შესახებ ბრძანება აისახება უნივერსიტეტის სასწავლო ბაზასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტუდენტთა რეესტრში.

9. შიდა მობილობით პროგრამის ცვლილების შესახებ ბრძანების ასლი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იგზავნება განათლების სამინისტროს უფლებამოსილ უწყებაში.

10. ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტებისთვის მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე მოქმედებს შიდა მობილობის შემდეგი წესი:

ა) სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს მედიცინის პროგრამაზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მიღების წინაპირობებს (ჩაბარებული აქვს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ის საგნები, რომლებიც დადგენილია მედიცინის პროგრამისთვის და გადალახული აქვს ზღვრული ქულები) და ერთიანი ეროვნული გამოცდების რანჟირებული ქულა აქვს არანაკლებ 1800 ქულისა.

ბ) თუ სტუდენტს ეროვნულ გამოცდებზე არ აქვს ჩაბარებული პროგრამის წინაპირობად დადგენილი საგანი ან არ აქვს გადალახული მიღების წინაპირობაში აღნიშნული ბარიერი, მას ეძლევა შიდა მობილობი ს უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საერთო ან ბოლო აქტიური სემესტრის GPA იქნება მეტი ან ტოლი 3,0-ის (ბოლო სემესტრი მინიმუმ 15 კრედიტით). ინგლისური ენის გარეშე ჩარიცხულ, ან დადგენილ ზღვარზე დაბალი ქულის მქონე სტუდენტს, შიდა მობილობის უფლება მიეცემა ინგლისური ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში (ინგლისური ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენით/ზეპირი და ტესტური შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით).

გ) დადგენილი წესები არ ეხება იმ სტუდენტს, რომელიც სწავლობდა მედიცინის პროგრამაზე, შეიცვალა პროგრამა და ისევ გადაწყვიტა მედიცინის პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. **(01-42, 20.05.2020)**

მუხლი 3. გარე მობილობის პროცედურა

1. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მობილობის წესით გადმოსვლის უფლება სტუდენტს ენიჭება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილი სტრუქტურის მიერ.

2[1]. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

ბ) ამოღებულია **(01-98, 19.07.2023)**

2[2]. თუ სტუდენტი ვერ აკმაყოფილებს ჩაბარებული საგნების წინაპირობას, უფლება აქვს დარეგისტრირდეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და ჩააბაროს მხოლოდ მობილობისთვის საჭირო ერთი საგანი. **(02-135, 26.10.2021)**

2. უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსვლისათვის არ არის დადგენილი რაიმე დამატებითი წინაპირობები. პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლოა დაწესდეს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა.

4. მობილობა ხორციელდება რექტორის ბრძანებით გამოცხადებული ვაკანტური ადგილების ფარგლებში, რომელიც აისახება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილი სტრუქტურის შესაბამის ვებ-პორტალზე.

5. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება მობილობის შედეგების საფუძველზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული სტუდენტების უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები.

6. მობილობის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხვის საფუძველია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა და უნივერსიტეტში დადგენილ ვადაში რეგისტრაციის გავლა - განცხადებისა და წინასწარ განსაზღვრული საბუთების წარმოდგენა.

7. მობილობით გადმოსვლის უფლებამოპოვებული სტუდენტების განცხადებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მზადდება კრედიტების აღიარების დასკვნა,

რომელსაც ხელს აწერს პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ფაკულტეტის დეკანი. **(01-81, 27.07.2018) (01-24, 11.03.2022)**

8. კრედიტების აღიარების დასკვნაში გაიწერება სწავლების სემესტრი. სტუდენტისათვის სწავლების სემესტრის განსაზღვრა ხდება აღიარებული კრედიტებისა და გასავლელი საგნების წინაპირობების გათვალისწინებით.

9. კრედიტების აღიარების დასკვნას უნდა გაეცნოს სტუდენტიც, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას აღიარებულ კრედიტებსა და განსაზღვრულ სემესტრზე.

10. რეგისტრირებული სტუდენტებისა და მომზადებული დასკვნების საფუძველზე იქმნება რექტორის ბრძანების პროექტი, რომელიც იგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილ სტრუქტურაში მათ მიერ განსაზღვრულ ვადებში.

11. წარდგენილი ბრძანების პროექტის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილი სტრუქტურის დადებითი პასუხის შესაბამისად გამოიცემა რექტორის ბრძანება მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ.

12. მობილობით გადმოსვლის მსურველ სტუდენტს უფლება აქვს ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების ხელმოწერამდე განცხადებით დააფიქსიროს უარი. წერილობითი უარის შემთხვევაში, სტუდენტი არ ჩაირიცხება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა იყო ბრძანების პროექტში და მიღებულია დადებითი დასკვნა მის ჩარიცხვაზე.

13. მობილობით ჩარიცხვის შესახებ ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში აისახება სტუდენტთა რეესტრში, ხოლო ბრძანების ასლი იგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილ სტრუქტურაში.

14. მობილობის შედეგების ასახვის ვადის დასრულების შემდეგ, სტუდენტთა რეესტრის მონაცემების მიხედვით გამოიცემა ბრძანება მობილობის წესით გადასული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის შესახებ, რომელიც დადგენილ ვადაში აისახება რეესტრში და ასლი იგზავნება ცენტრში.

15. მობილობით გადასულ სტუდენტს მოთხოვნილი საბუთების დედნები გადაეცემა უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების დასტურის შემდეგ ფინანსური, წიგნებისა და კომპიუტერული ტექნიკის დავალიანების არქონის შესახებ.

მუხლი 4. კრედიტების აღიარების ზოგადი პრინციპები

1. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. აღიარებას ექვემდებარება სტუდენტის მიერ ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი საგნები, თუ არსებობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობა.

3. უნივერსიტეტი აღიარებს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის. **(01-81, 27.07.2018)**

4. კრედიტების აღიარების პროცესს წარმართავს კრედიტების აღიარების დარგობრივი კომისია, რომელიც არის მუდმივმოქმედი ორგანო. კომისიის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი და ფაკულტეტის დეკანი. **(01-81, 27.07.2018)**

5. კრედიტების აღიარების დასკვნის პროექტი მზადდება უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც ამოწმებენ და ხელისმოწერით ადასტურებენ ფაკულტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის კოორდინატორი და დეკანი. კრედიტების აღიარების პროცესს ზედამხედველობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. **(01-81, 27.07.2018), (01-162, 16.11.2018)**

6. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება აკადემიური პროცესის მართვის სამსახურს.

(01-81, 27.07.2018)

7. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლის/აღდგენის მსურველთა და უცხოეთში სწავლების პერიოდში სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება ექვემდებარება ECTS კრედიტებთან და სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმთან შესაბამისობის დადგენას. **(01-81, 27.07.2018)**

8. თუ სტუდენტს გავლილი კურსებიდან გამომდინარე აქვს აკადემიური ჩამორჩენა და ვერ იღებს კვალიფიკაციას პროგრამით განსაზღვრულ ვადაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოახდინოს მოპოვებული კრედიტების გადაღიარება, პროგრამის შესაბამის მოდიფიკაციაზე. **(01-81, 27.07.2018)**

9. კრედიტების აღიარება/აღიარებაზე უარის თქმა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დოკუმენტის შესაბამისად. სტუდენტის ან სხვა უფლებამოსილი პირის მომართვის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ კრედიტების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი. **(01-81, 27.07.2018)**

მუხლი 5. კრედიტების აღიარების რეგულაციები

1. სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება სწავლის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს მოსთხოვოს მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები.

2. სასწავლო კურსების შესაბამისობის დადგენა ხდება შესწავლილი საგნის სახელწოდების მიხედვით. სახელწოდებაში არსებული სხვაობის შემთხვევაში, ეს შესაბამისობა დგინდება სასწავლო კურსის შინაარსის ან/და სწავლის შედეგების 2/3 თანხვედრის შემთხვევაში. შინაარსიდან გამომდინარე მშობლიურ უნივერსიტეტში გავლილი რამდენიმე საგანი შეიძლება აღიარებულ იქნას ერთ საგნად და პირიქით. **(01-81, 27.07.2018)**

3. სტუდენტის მიერ მშობლიურ უნივერსიტეტში (მობილობის შემთხვევაში) ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის აღიარება ხდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროგრამის მიხედვით დადგენილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, მიუხედავად მშობლიურ უნივერსიტეტში მიღებული კრედიტების რაოდენობისა. **(01-81, 27.07.2018)**

4. იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში, მაგრამ არსებობს სხვა ნებისმიერ მოქმედ პროგრამაში, ხდება თავისუფალი კრედიტების მოცულობის ფარგლებში. აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ იმდენი კრედიტი, რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო კურიკულუმი.

5. იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც უნივერსიტეტის არცერთ საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის, ასევე ხდება თავისუფალი კრედიტების მოცულობის ფარგლებში, მშობლიური უნივერსიტეტის კურიკულუმში არსებული სახელწოდებითა და კრედიტის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (გონი) აისახება ახალი სასწავლო კურსები.

6. თუ თავისუფალი კრედიტების რაოდენობა პროგრამით განსაზღვრული თავისუფალი კრედიტების რაოდენობაზე მეტია ან პროგრამაში არ არის თავისუფალი კრედიტების მოდული, კომისიას უფლება აქვს, სასწავლო კურსები აღიაროს ე.წ. პროგრამის გარეთ გავლილ სასწავლო კურსებში და ასახოს სტუდენტის დიპლომის დანართში (მაგ. საბაკალავრო პროგრამების შემთხვევაში, 240 კრედიტის ზევით). **(01-81, 27.07.2018)**

7. თუ სტუდენტი მობილობას ახორციელებს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამიდან (საქართველოში ან უცხოეთში მიღებული განათლება) და ინგლისური ენის სასწავლო კურსში გააჩნია უნივერსიტეტის მიერ პროგრამისთვის დადგენილი ინგლისური ენის ჯამურ სავალდებულო კრედიტის რაოდენობაზე ნაკლები, უღიარდება ფაქტობრივად გავლილი ინგლისური ენის კრედიტები, ხოლო პროგრამულად სავალდებულო ინგლისური ენის კრედიტებს გაივლის სასწავლო გეგმის შესაბამისად. **(01-81, 27.07.2018) (01-98, 19.07.2023)**
8. თუ სტუდენტისთვის განხორციელებული მობილობა არ არის პირველადი (სტუდენტს განხორციელებული აქვს სხვა მობილობა), კომისია ვალდებულია, საგნების აღიარება აწარმოოს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა სასწავლო ბარათიდან.

9. სტუდენტის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარებას უნივერსიტეტი აწარმოებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად.

10. სტუდენტის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარებას უნივერსიტეტი ახდენს დამოუკიდებლად იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სასწავლო კურსები გავლილი აქვს უნივერსიტეტებს შორის არსებული კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში და ეს ხელშეკრულება კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

11. სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ გაუქმებული პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები, მიმდინარე - აკრედიტებულ პროგრამაზე აღდგენის შემთხვევაში აღიარებულ იქნება ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 6. ECTS საკრედიტო სისტემისგან განსხვავებული შეფასებების აღიარება

1. თუ ჩარიცხვის მსურველი სტუდენტის მშობლიური სასწავლებელი იყენებს განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მშობლიური სასწავლებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან. თუ სტუდენტმა ვერ წარმოადგინა ეს დოკუმენტი, მაშინ ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო ბარათი, სადაც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ შესწავლილი კურსის მოცულობა აკადემიურ საათებში. აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, კურსის მოცულობას (საკონტაქტო საათებს) დაემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები, ისეთი თანაფარდობით, რაც შესაბამის სასწავლო კურსს აქვს მიმღებ უნივერსიტეტში. მიღებული ჯამი გაიყოფა 25-ზე და დამრგვალდება მთელ რიცხვამდე;

2. თუ ჩარიცხვის მსურველი სტუდენტის მშობლიური სასწავლებელი იყენებს შეფასების არა 100 ქულიან, არამედ განსხვავებულ სისტემას, სტუდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს პირველადი სასწავლებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ამ სისტემის შესაბამისობას 100 ქულიან სისტემასთან.

3. შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

ფრიადი (5)	95 ქულა	A
კარგი (4)	80 ქულა	C
დამაკმაყოფილებელი (3)	60 ქულა	E

4. თუ სტუდენტს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად რომელიმე საგანში მიღებული აქვს ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“, მაშინ მისი აღიარება ხდება 5 ბალიანი სისტემიდან 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანის პრინციპის შესაბამისად;

5. ე.წ. „ჩათვლის“ აღიარება ხდება ქულის პირობითი მინიჭების შესაბამისად: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.

6. აღიარებული სასწავლო კურსის ქულის განსაზღვრა ხდება სტუდენტის მიერ მშობლიურ უნივერსიტეტში მიღებული შეფასების შესაბამისად შემდეგი პრინციპით:

ა) რამდენიმე სასწავლო კურსის ერთ სასწავლო კურსად აღიარების შემთხვევაში, ქულა გამოითვლება აღიარებული საგნების ქულების საშუალო არითმეტიკულით. (როგორც მობილობის შემთხვევაში, ასევე პროგრამული მოდიფიცირების დროს)

ბ) ერთი სასწავლო კურსის რამდენიმე სასწავლო კურსად აღიარების შემთხვევაში, ქულა გადაყვება ყველა აღიარებულ საგანს. **(01-81, 27.07.2018) (01-98, 19.07.2023)**

7. ამოღებულია **(01-126, 12.11.2020) (01-98, 19.07.2023)**

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს კომისიას.

2. შესაძლებელია, თითოეულ ფაკულტეტზე არსებობდეს კრედიტების აღიარების სხვა, დამატებითი რეგულაციები, რომლებიც უნდა შეთანხმდეს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და უნდა დამტკიცდეს აკადემიურ საბჭოზე.

3. აღნიშნული წესით ძალას კარგავს უნივერსიტეტში არსებული კრედიტების აღიარების წესი.

4. სტუდენტი, რომელიც ჩარიცხულია ამ წესის მიღებამდე და გავლილი საგნების აღიარება მოხდა ძველი წესის შესაბამისად, უფლება აქვს მიმართოს ფაკულტეტის დეკანატს და მოითხოვოს კრედიტების თავიდან აღიარება, თუ მის შემთხვევაში ეს წესი განსხვავებულად არეგულირებს საკითხს.

5. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატეტების შეტანა ხდება კანცლერის ბრძანებით.

6. აღნიშნული წესი ძალაშია ხელმოწერისთანავე.